# საქართველოს დამოუკიდებლობა

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს ქართველი ხალხი თავისუფლებისთვის იბრძოდა და ბევრი ადამიანი შეეწირა ქვეყნის დამოუკიდებლობის სურვილს.

1989 წელს საქართველოში ხალხი ხშირად გამოდიოდა ქუჩაში, რადგან ყველას უნდოდა საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლება. თბილისში, მთავრობის სახლის წინ (დღევანდელი პარლამენტის შენობასთან), ათასობით ადამიანი შეიკრიბა მშვიდობიან მიტინგზე. ისინი ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და უკეთეს მომავალს.

მიტინგი მშვიდობიანი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი ძალით დაშლა. 1989 წლის 9 აპრილს, დილით ადრე, დაახლოებით 4 საათზე, საბჭოთა ჯარი დაესხა თავს შეკრებილ ხალხს. მათ გამოიყენეს ხელკეტები, ნიჩბები და მომწამვლელი გაზი. ეს იყო ძალიან სასტიკი დარბევა.

ამ მოვლენას ემსხვერპლა სულ მცირე 21 ადამიანი, მათ შორის ბევრი ქალი. ასეულობით ადამიანი დაშავდა და ბევრი მოიწამლა გაზით. ამ დღემ მთელი საქართველო ძალიან დაამწუხრა და 9 აპრილი გლოვის დღედ გამოცხადდა.

თუმცა ამ ტრაგედიამ ხალხი ვერ შეაჩერა. პირიქით, ქართველებს კიდევ უფრო გაუძლიერდათ სურვილი, რომ ქვეყანა დამოუკიდებელი გამხდარიყო.

ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ეს თარიღი სპეციალურად აირჩიეს, რათა პატივი მიეგოთ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული ადამიანებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე პირველად გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს, რაც დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული დღესასწაულია.

9 აპრილი არის დღე, რომელმაც აჩვენა, რამდენად დიდი ფასი გადაიხადა საქართველომ თავისუფლებისთვის. ეს თარიღი გვასწავლის, რომ დამოუკიდებლობა ძალიან ძვირფასია და მას ყოველთვის უნდა გავუფრთხილდეთ. 9 აპრილი ქართველი ხალხის სიმტკიცის, ერთიანობის და თავისუფლების სიყვარულის სიმბოლოდ დარჩა.

მარიამ ჩიტაიშვილი